საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

№ 246 შაბათი, 1 ივნისი 1918 წ. № 246

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო.

გერმანიის საელჩოს და სამხედრო მისიის წარმომადგენლებმა ინახულეს საქართველოს პირველი მინისტრი [illegible] და ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე.—ბორჯომიდან [illegible] ნებიან ახალქალაქი ჩვენს ხელშიაო.—მუხროვანში რუსული ბატარეის უფროსი და ოფიცრები შეიპყრეს და ბატარეია ჩამოართვეს: რუსული დივიზიონის უფროსი სთხოვს რუსების ერ. საბჭოს პროტესტი განუცხადოს საქართველოს მთავრობას.—დასავლეთის ფრონტზე გერმანელებმა 35.000 კაცი დაატყვევეს და დიდ-ძალი საომარი მასალა ჩაიგდეს ხელში.—გერმანელებმა სუასონი აიღეს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 60 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" ([illegible] „ნადეჟდა") ბარათოვის ქუჩა, სახლი № [illegible] და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ[illegible] არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ტელეგრ. ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", почт. ят. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

სახელმწიფო თეატრი

დილის წარმოდგენა. კვირას 2 ივნისს 1918 წ. დილის 12 საათზე.

კოტე ფოცხვერაშვილის და ნიკო ქართველის ხელმძღვანელობით გაიმართება პირველად თავისუფალ საქართველოში ქართულ სარევოლიუციო და ეროვნულ

ჰიმნ საგალობელთა აკადემია

მრავალრიცხოვანი სიმფონიური ორკესტრისა და ქალ-ვაჟთა გუნდის მიერ შესრულებული იქნება სხვა და სხვა ავტორების სანიმუშო თხზულებანი ქართული ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, ქართული მარშები და სხვანი. დასაწყისი დილის 12 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

1179

აფიშები არ გამოვა.

ქართული კლუბი

შაბათს, 1 ივნისს (19 მაისს გაიმართება)

დ. ა. არაყიშვილის

მეორე კონცერტი სამ განყოფილებად

I ეროვნული სიმღერები, II რომანსები

III სიმფონიური განყოფილება

სოლისტებად გამოდიან: ივ. სარაჯიშვილი, ს. გაბაშვილისა და ვ. [illegible] სხვათა შორის შესრულებული იქნება პირველად ქართული რაფსოდია და რუსთაველის და ნინოს დუეტი.

ორკესტრს ხელმძღვანელობს თვითონ ავტორი. დასაწყისი საღამოს 8½ ს

ქართული კლუბის ადმინისტრაცია. 1169 ბილეთების ფასი ჩვეულებრივია

ქართული კლუბი

კვირას 2 ივნისს ქართ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის სასარგებლოდ გაიმართება

საღამო-მეჯლისი

1. განყოფ. პირველად ტფილისის სცენაზე ახალი პიესა შალ. დადიანისა

გუშინდელნი

კომ. 3 მოქმედებად.

მონაწილეობს ქართული დასი.

2. სალიტ. განყოფილება. მონაწ. მიიღებენ: გრ. რობაქიძე, დ. კასრაძე, ი. გრიშაშვილი, ს. ყანჩელი, პ. იაშვილი, ტიტე ტაბიძე, ვ. გორგაძე, ი. მჭედლიშვილი და ლელი ჯაფარიძე.

დასასრულ ვახშამი-კაბარეთი

კაბარე გაიმართება ს. ყანჩელის მეთაურობით. აგრეთვე იქნება სხვა და სხვა გასართობები: პტი-შვო, აუქციონი, ლატარია, კონფეტები, ყვავილები და სხვ. ბილეთების ყიდვა შეიძლება ქ. კლუბის კასაში და საჩაიე ძმურ ნუგეშში.

მაგიდები ამ თავითვე უნდა დაიკვეთონ ზ. ჩიხლაძესთან ოლღას ქუჩა სარაჯიშვილის კანტორაში 9—12 ს.

ქარ. უნივ. სტუდ. კავშირის გამგეობა.

ბინები და ოთახები

თანახმად საბჭოს დადგენილებისა ქალაქის გამგეობა აქვეყნებს შემდეგ [illegible] სავალდებულო დადგენილებას:

1) აკრძალულია ოთახებისა და ბინების გაქირავება რეკვიზიციის ან არეკვიზიციო უწყების მიღების შემდეგ.

2) აკრძალულია იმ ოთახებისა და ბინების გაქირავება, რომელიც ქალაქის გამგეობის საბინო განყოფილებას აქვს უკვე აღნუსხული.

3) ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან თანახმად სის. ჯ. წესდების მე-29 მუხლისა.

ტფილისის ქალაქის გამგეობა. 1158

ღარიბ მოწაფეთა შემწე

[illegible]ფილისის გუბერნიის ყოფილ თავად-აზნაურთა საზოგადოების

[illegible]რთო წლიური მორიგი კრება

[illegible] ივლისს, საღამოს 7 საათზედ, ქართული გიმნაზიის შენობაში. [illegible]ლია: ა) საზოგადოების წლიური ანგარიში, ბ) მოხსენება [illegible] საზოგადოების ქონებისა და სასწავლებლების მთავრობი[illegible] შესახებ და გ) ზოგიერთი საოჯახო და სასწავლო საგ[illegible]

574

მოკლე პრეისკურანტი

ლეონიდ ისააკის ძის შახნოვსკის კაუჩუკის და სპილენძის ბეჭდების ფაბრიკის. ტფილისი. ნიკოლოზის ([illegible]) ხიდი № 10.

№ 1. ბლანკების ბეჭედი—12 მანეთიდან, № 2. მრგვალი ბეჭედი კაუჩუკის—10 მან., № 3. მრგვალი, საეკლესიო ბეჭედი—12 მან., № 4. სპილენძის ბეჭედი ლუქისათვის—25 მან., № 5. კალენდარის ბეჭედი—25 მანეთიდან, № 6. ყოველ გვარი წარწერა, ფასი შეთანხმებით, № 7. არის ჯიბის ყოველ გვარი ბეჭედი 20 მანეთიდან.

შენიშვნა: ფაბრიკა ამზადებს ბეჭდებს ქართულ ენაზედ. ქალაქს გარეთის მუშტრებს ვთხოვ შემდეგი მისამართით შემიკვეთონ: ნიკოლოზის ხიდი, ლ. ი. შახნოვსკი. საქმე სრულდება სუფთად და კეთილსინდისიერად.

პატივისცემით: ლ. ი. შახნოვსკი. 570.

მესამე ქართულ საარტილერიო ბრიგადაში

მიიღება მოხალისეები. ბრიგადა დროებით „ცარსკიე კოლოდცი"-ში იმყოფება. ჩაწერა შეიძლება დივიზიონის სამართველოში (მე-2 ქართულ დივიზიის შტაბის ეზოში) დილის 11—1 საათამდე (მიხეილის ქუჩის კუთხე). 568

ბრძანება

ტფილისის საქალაქო მილიციაში

1918 წლის 29 მაისის № 134.

I

თავდაცვის უზენაეს საბჭოს ბრძანებით ქალ. ტფილისში საალყო წესები გამოცხადებულია ამის გამო ვბრძანებ:

1. ყველა განკარგულება და ბრძანება მილიციაში დაუყოვნებლივ უნდა იქმნას შესრულებული; 2. ჩემს რწმუნებულ მილიციაში მოსამსახურეებს ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს მოწმობა, პიროვნების დამამტკიცებელი, 3. მილიციონერების გასაგზავნად პოსტებზე უნდა დაინიშნოს უფროსი მილიციონერი, მილიციონერის პოსტის ადგილი შუა ქუჩაა, 4. კომისართა თანაშემწეებს ევალებათ თვალყური ადევნონ პოსტებზე სამსახურს რაიონის მორიგი ყარაულის უფლებით, 5. კომისარებს უბრძანებ დღიური საპოსტო უწყება პირადად მე ჩამაბარონ საგანგებო მსახურის ხელით, 6. რეზერვის უფროსს უბრძანებ ყოველდღე 30 კაცი დანიშნოს ქალაქის მორიგი მეთვალყურის განკარგულებაში. კომანდის უფროსს თან უნდა ჰქონდეს მოწმობა, სადაც აღნიშნული იქნება მილიციონერთა რიცხვი, 7. წინადადებას ვაძლევ კომისარებს ყოველი ზომით მოიყვანონ სისრულეში ბრძანება მეეზოვეების შესახებ, ურჩები დაუყოვნებლივ დააპატიმრონ, 8. კატეგორიულად ავკრძალავ ჩხრეკას კერძო ბინებში და საზოგადოდ ჩხრეკისათვის საგანგებო ორდერი უნდა ჰქონდეთ, 9. სასადილოების და დუქნებისა პატრონებს ევალებათ 24 საათის განმავლობაში მოსპონ ღვინო. თუ აღნიშნულ ვადაში არ შეასრულებენ ამას დააპატიმრეთ და მომგვარეთ მე. I ხარისხის რესტორნები და კლუბები ღია უნდა იყოს ღამის 1 საათამდე სასადილოები 11 საათამდე, 10. დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ქუჩებისა და ეზოების გასაწმენდათ. ამისთვის 3 დღის ვადა ეძლევათ. ვინც ამას არ შეასრულებს დააპატიმრეთ და მომგვარეთ, 11. თანახმად თავდაცვის საბჭოს ბრძანების 1 მუხლისა ყველა ჩამორთმეული იარაღი ჩააბარეთ ჩემს სამართველოს რათა შემდეგ წითელი რაზმის შტაბს გადაეცეს, 12. ყველა მოქალაქე, საზოგადო წესიერებას ვინც დაარღვევს, დააპატიმრეთ და ჩემს სამართველოში მოიყვანეთ.

რადგან ჩემ რწმუნებულ მილიციის მოსამსახურეები შინაგან ყარაულში არიან, წინადადებას ვაძლევ კომისარებს დაუყოვნებლივ გაეცნობონ ამ ყარაულების ადგილების შესახებ. შინაგან ყარაულში დაინიშნოს ყარაულის უფროსები და ერთი გამწესრიგებელი. კომისარებს ევალება ყოველდღე გამოგზავნონ ჩემს სამართველოში ნაწილი, რომელიც მორიგ ყარაულის მოვალეობას შეასრულებს. ყარაული უნდა ექვემდებარებოდეს საგარნიზონო სამსახურის წესდებას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაიცნოს ყარაულის მორიგმა წევრმა და მილიციის სხვა წევრებმაც.

მორიგი ყარაულები, ყარაულის ხელმძღვანელები და უფროსები ყოველდღე შუადღის 12 საათზე მიიღებენ პაროლს ჩემი მდივნის კოპიევისაგან. ჩემს თანაშემწეს პრაპორშჩიკს იმნაიშვილს ევალება თვალყური ადევნოს ამ ბრძანების ასრულებას და ყოველდღე მ[illegible]ახსენოს მე ამის შესახებ. ამ ბრძანების აუსრულებლობისათვის მილიციის წევრები სარევოლიუციო სამართალში იქნება მიცემული ყველა, მიუხედავად მისი თანამდებობისა; მოქალაქენი ალმ. კომ. და ქალ. თვითმართველობის წინაშე გამოსულ ბრძანებათა და ჩემი ბრძანების აუსრულებლობისათვის დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით.

II

ფულის ანგარიშის შესამოწმებლად მე-2 კომისარიატში, რომლის კომისარის ყოფ. თანაშემწე მჭედლიძე მიიმალა და ანგარიში წარმოადგინა, ვნიშნავ კომისიას მილ. უფრ. დრ. თანაშემწე დარახველიძის თავმჯდომარეობით, რომელშიაც შევლენ კომ. თანაშემ. თარხან-მოურავი და ლიმანოვსკი. მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე საქალაქო კონტროლის წარმომადგენელი. კომისია შეიკრიბება 31 მაისს დილის 10 ს.

III

ტანისამოსი სახელოსნოში სრულებით არ-არის ტანისამოსი უნდა ცოტაოდენი ზამთრის მაზარაა. ამიტომ უბრძანებ კომისარებს ნუ გააგზავნიან სახელოსნოში ტანისამოსის მოსათხოვნად.

IV

მეორე კომისარიატის მილიციის წევრებს უბრძანებ დახმარება აღმოუჩინონ წისქვილის მეთვალყურეებს მათი სამსახურის დროს. მეთვალყურეების კანტორა იმყოფება „19 თებერვლის ქუჩაზე" № 14.

1146 მილიციის უფროსის მოვ. დრ. ალმ. პორუჩიკი მოგილიოვსკი.

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 13—00.

დღეს, 1 ივნისს გაიმართება დიდი წარმოდგენა

ჩვენი მეშაგათეები

მონაწილეობს ყველა საუკეთესო მსახიობი: კოშო, ვლადიმიროვი, სალი-სულეიმანი, პ. ელიზაროვი, ჟუკი და სხვ. სალი-სულეიმანი წარმოადგენს თავის რკინის ხიდს, ასწევს სიმძიმეს და სხვ. ის 6 კაცს ასწევს და ლეკურს იცეკვავს.

ანონსი: ხვალ კვირას, 2 ივნისს, გაიმართება 2 სადღესასწაულო წარმოდგენა, დღისით 1 საათზე ბავშვებისთვის დაკლებულ ფასებში.

მთავარი ადმინისტრატორი: პ. ელიზაროვი. 575

საზოგადოება „იმედი"-ს

სასადილო

ძველი სემინარიის შენობა, პუშკინის სკვერის პირდაპირ.

გაუმჯობესებულია სამზარეულო,

პირველ ხარისხოვანი სანოვაგე, ამზადებენ ვახშამს, რუმინელთა სიმებიანი ორკესტრი საღამოს 8 ნახ.—12 ნახ. საათამდე. 551

6 ივნისს (ახალი დროით) დილის 11 საათზე ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში დანიშნულია

გაგრძელება

ტფილისის ქართველ-ვაჭართა და მრეწველთა კავშირის

დამფუძნებელი კრება

განსახილველი საგნები:

1. ხარჯთ-აღრიცხვა კავშირის 1918 წლისა.
2. ამორჩევა საბჭოს წევრებისა და მათ კანდიდატებისა.
3. ამორჩევა გამგეობის წევრებისა.
4. ამორჩევა სარევიზიო კომისიის წევრების და მათ კანდიდატებისა.

საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს კავშირის ყველა წევრებს უთუოდ დაესწრონ ამ კრებას, რადგან როგორც პოლიტიკური ისე შინაური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა მოითხოვს ვაჭარ-მრეწველთა შეკავშირებას და მათ საზოგადო სარბიელზე გამოსვლას.

567 საორგანიზაციო კომისია.

ტფილისი. 1 ივნისი 1918 წ.

ორნაირი მუქარა. რაღაც წინდაწინვე განზომილი მუხანათური სახეს იღებს ბოლშევიკების საქციელი. თვით ბოლშევიკები ამას ან ვერა გრძნობენ და, მაშასადამე, ნამდვილი პოლიტიკური რეგვენები ყოფილან, ან ჰკრძნობენ, რასაც სჩადიან და მაშინ მათს საქციელს ნამდვილი მუხანათური საქციელი უნდა ეწოდოს. ყველამ იცის, რომ საქართველო ოსმალეთის ჯარების შემოსევის წინაშე სდგას. საჭიროა მთელი ძალღონის მოკრეფა. საჭიროა მობილიზაცია ყველასი, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან, რათა თავი დავაღწიოთ კარზე მომდგარ საფრთხესა და ოსმალეთის შემოსევა თავიდან ავიცილოთ.

მაგრამ სწორედ ამისთანა გასაჭირის დროს დახმარების ნაცვლად ნამუსზე ხელ-აღებული ბოლშევიკები მეორე მხრიდან ხელ მეორედ ზურგიდან მახვილის დაკვრას აპირებენ. საჭირო იყო დაცვა ბათომისა და სწორედ ამ დროს ბოლშევიკებმა იმდენი არეულ-დარეულობა გამოიწვიეს საქართველოში, რომ ქართველ ჯარს შეუსუსტეს უნარი თავის დაცვისა. ბათომის მარცხის შემდეგ ჩვენი ჯარი გამოსწორდა და მედგრად დაუხვდა ოსმალეთის ჯარს ბათომთან. იმდენად მედგრად დაუხვდა, რომ ოსმალოებმა შეაჩერეს წინსვლა. მაგრამ ბოლშევიკებმა მაინც თავი არ დაანებეს თავიანთ მუხანათობას, ისარგებლეს ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში გამეფებული ანარქიითა და არევ-დარევით და ბაქოში ისეთი მდგომარეობა შექმნეს და დღეს მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ოსმალეთი ბატონობს და რკინის გზითაც თავისუფლად სარგებლობს.

მხოლოდ საქართველო დარჩა შედარებით ხელ-შეუხებელი. მხოლოდ საქართველოში ჯერ-ჯერობით ვერ შემოიჭრა ოსმალეთი, თუმცა გურიაში მას უკვე აქვს ფეხი მოკიდებული. საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა უბრძოლველად საქართველოს მიწა-წყალი ოსმალეთს არ დაუთმოს. დადგა დრო, როდესაც მთელი ქართველი ხალხი თოფ ქვეშ უნდა დასდგეს, გამოვიდეს საქართველოს მთავრობის პირველი ბრძანებისთანავე და ან გასწყდეს ან კიდევ დაიცვას თავისი სამშობლო, თუ ჰსურს გადაირჩინოს თავი საუკუნო მონობისაგან.

სწორედ ამისთანა გასაჭირის დროს ბოლშევიკები თავის მველებურ გზას არა შორდებიან და ცდილობენ ხელი შეგვიშალონ სწორედ მაშინ, როდესაც საქართველო სამხედრო-სასიცოც-

ხლო ბრძოლისთვის ემზადება. იმ დროს, როდესაც ოსმალეთი ტფილისს ემუქრება, ბოლშევიკები ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს აწვებიან.

ჩვენ ოღნავადაც არ ვეჭვობთ, რომ ბოლშევიკები ამ ახალი ავანტიურის ლიკვიდაციას ძალიან მალე მოახდება. თუ ამ საკითხზე შევჩერდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ აღვნიშნა ვერაგული განზრახვანი ბოლშევიკებისა. ისინი ცდილობენ მაშინ გააძლიერონ ხოლმე თავიანთი მოქმედება, როდესაც გარეშე მტერიც გვემუქრება. ისინი ცდილობენ დაქსაქსონ ჩვენი სამხედრო ძალები სწორედ მაშინ, როდესაც საჭიროა კონცენტრაცია, შეჯგუფება ამ ძალების გარეშე მტრის წინააღმდეგ. თუ რამდენად ყელის გამომჭრელია საქართველოსთვის ბოლშევიკების მოღალატური საქციელი, სოხუმის მაგალითიდანაცა სჩანს სოხუმშიაც ისარგებლეს ბოლშევიკებმა არეულობით, ჩვენი კრიტიკული მდგომარეობით და ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს. სანამ ბოლშევიკები თავისებურ „წესებს" ამყარებდნენ სოხუმში სანამ ისინი უზომო კონტრიბუციას ადებდნენ შეშინებულ მცხოვრებლებს, სანამ ისინი ძარცვა-გლეჯით ირთობდნენ თავს და იმასაც კი არ ერიდებოდნენ, რომ ზოგიერთებისთვის ფეხზე ქვები შეებათ და ზღვაში ჩაეხრჩოთ, სახამ ბოლშევიკები, ეს გაველურებული გამხეცებული ბრბო ჯოჯოხეთის ცეცხლს ატრიალებდა სოხუმის ოლქში, ოსმალოები ჩუმიჩუმად ემზადებოდნენ სოხუმს და ჯარის გადასხმის საქმეს აწყობდნენ.

ტფილისის წითელ გვარდიას დროზე რომ არ მიესწრო, სოხუმი ოსმალეთს ჩაუვარდებოდა ხელში.

აი ასეთს სამსახურს უწევენ ბოლშევიკები საქართველოს. საკითხავია ეხლა, ვის ემსახურებიან ბოლშევიკები? საქართველოსა და ქართველ ხალხს, თუ ოსმალეთს? ჩვენთვის ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ბოლშევიკების საქციელი ოსმალეთს უღებს კარებს. და თუ ოსმალეთმა საბოლოოდ გაიმარჯვა საქართველოზე, თუ ქართველი ხალხი ბრძოლაში დამარცხდა, მთელი სიმძიმე პასუხისმგებლობისა კისრად უნდა დააწვეს ბოლშევიკებს, რომელნიც ერთის მხრით ზურგიდან მახვილსა სცემენ საქართველოს და მეორეს მხრით ქართველ ხალხს ურჩევენ ბრძოლაზე ხელი აიღონ. თუ ქართველმა ხალხმა ბრძოლაზე ხელი აიღო—და ბოლშევიკებს დაუჯერა, მაშინ დაე თვითონ გასცეს პასუხი მთამომავლობას, რომელიც მწარედ დაიკვნესებს ოსმალეთის უღელ ქვეშ.

დამოუკიდებელი საქართველო და სომეხთა სარევოლიუციო დაშნაკცუთიუნი

სომხურ სარევოლუციო დაშნაკცუთიუნის დელეგატთა საბჭოსა და საბიურო კომიტეტების წევრთა შერეულ სხდომას მოუსმენია ამხ. ჰ. ჩილახიანის მოხსენება თანამედროვე მომენტის შესახებ, სეიმის მიერ თავის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და აზრთა გაცვლა გამოცვლის ბოლოს შემდეგი რეზოლიუციები მიუღია:

I

„საქართველოს დამოუკიდებლობა დელეგატთა საბჭოს მომხდარ ფაქტად მიაჩნია და ავალებს თავის პარტიულ ამხანაგებს ლოიალად იყვნენ საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, ძალა მისცენ და დახმარება აღმოუჩინონ მის დემოკრატიულ საფუძვლებზე მოწყობის დროს, ამასთანავე ერთად დელეგატთა საბჭო აუცილებელ საჭიროებად სცნობს აღიაროს, რომ საქართველოს საზღვრებში მოსახლე სომხებს, თათრებს და სხვებს ჰქონდეთ ყველა ის უფლებანი, რომლებითაც ისარგებლებენ ქართველი მოქალაქეები."

II

„რადგანაც ამიერ-კავკასიის სეიმის თვით დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უნდა გაუქმდეს ამიერ-კავკასიის მთავრობა და სომხის ერი დარჩეს ღვთის ანაბარა, დელეგატთა საბჭო აუცილებელ საჭიროებად სცნობს აღიაროს, რომ სომხურმა ეროვნულმა საბჭომ უნდა გააძლიეროს თავის შემადგენლობა, გადავიდეს სამოქმედოდ სომხის ცენტრში, მიითვისოს მთავრობის ფუნქციები და ისარგებლოს დიქტატორული უფლებით სომეხთა ცხოვრებასა და საქმეებში." („ჰორიზონი, № 101).

ეროვნულ საბჭოს შემადგენლობა

სია საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრებისა, 29 მაისს სხდომაზე დამ-

ს.-დ. მენშევიკები: ნ. ჟორდანია, ირ. წერეთელი, ნ. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, ის. რამიშვილი, აკ. ჩხენკელი, ვ. ჯიბლაძე, ერ. გიორგაძე, ალ. ლომთათიძე, გერ. მახარაძე, რ. არსენიძე, ს. თევზაია, ნ. ხომერიკი, გ. ერაძე, კ. ანდრონიკაშვილი, დ. ონიაშვილი, გ. ანჯაფარიძე, რ. ჩიხლაძე, გ. გაგლოშვილი, ვ. ჯუღელი, ვ. ახმეტელაშვილი, კ. გვარჯალაძე, ა. მაისურაძე, პ. გელეიშვილი, ა. ჭიაბრიშვილი, კ. კანდელაკი, ნ. ელიავა, მ. ტოროშელიძე, გ. ცინცაძე, ს. ჯაფარიძე, ა. საკუკვაძე, ი. სალაყაია, მ. კლიმიაშვილი, კ. ნინიძე, ა. ფარნიაშვილი, დ. თოფურიძე, დ. დგებუაძე, ლ. ნათაძე, ა. მამულაიშვილი, ნ. ცინცაძე, ვ. მგელაძე, ვ. წულაძე, მ. რუსია, ნ. მახარაძე, თ. ლორია, ნ. ელენტი, ი. ბადრიძე, დ. შარაშიძე, ვ. ნინიძე, ვ. ცაბაძე, ნ. იობაშვილი, ი. გეგელია, თ. კიკვაძე, ნ. საბახტარაშვილი, გრ. ურუტაძე, ი. წულაძე, ს. თევზაძე, ი. მარუაშვილი, ს. დოლიძე, გ. სადაღაშვილი, ს. ელიაძე, ბ. მიკირტუმოვი, გრ. ცინცაძე, მ. ვაროდოიანცი, ო. სოლოღაშვილი.

სოციალისტ-ფედერალისტები: გრ. რცხილაძე, ი. ბარათაშვილი, ს. ფირცხალავა, ს. მდივანი, იას. ბაქრაძე, ალ. წერეთელი, დ. უზნაძე, ს. დადიანი, ი. გედევანიშვილი, თ. ღლონტი, შ. მიქელაძე, შ. ნუცუბიძე, არ. ჯაჯანაშვილი, ერ. ტოროტაძე, აკ. ფაღავა, მ. ყაუხჩიშვილი.

ნაც.-დემოკრატები: ნ. ნიკოლაძე, გ. ქიქოძე, გ. გვაზავა, შ. ამირეჯიბი, დ. ვაჩნაძე, ს. კედია, გრ. ვეშაპელი, ე. თაყაიშვილი, შ. ქარუმიძე, იას. ლორთქიფანიძე, ვ. წერეთელი, დ. ჯავახიშვილი, რ. გაბაშვილი, მ. მაჩაბელი, ი. მაჭავარიანი.

სოც.-რევოლიუციონერები: კ. მესხი, გრ. ნათაძე, ვ. გობეჩია, ი. ჩერქეზიშვილი, ი. გობეჩია, იოს. გობეჩია, იოს. აბაკელია, კ. ჯავრიშვილი, ლ. შენგელაია, მ. ფანჩუაშვილი, ი. კაკაბაძე, ი. ვარაზაშვილი.

რადიკალ-დემოკრატები: დ. გიორგაძე, დ. ჩიქოვანი, ა. ახმეტელი.

უპარტიონი: კ. აფხაზი, კ. მაყაშვილი.

ქართველი-კათოლიკე: რ. ივანიცკი.

გერმანიის საელჩოს წარმომადგენელნი საქართველოს წარმომადგენლებთან

პირველი მინისტრის მოადგილესთან.

30 მაისს საღამოს 6 საათზე გერმანიის საელჩომ ინახულა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე სამხედრო მინისტრი გიორგაძე. სამხედრო მინისტრი მიესალმა საელჩოს და იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოს ნორჩი რესპუბლიკა მოღონიერდება და აყვავდება გერმანიის დახმარებით. საელჩომ უპასუხა, რომ გერმანია ყოველ ღონეს იხმარს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასაცავად. საელჩო შეეკითხა, რას ფიქრობს მთავრობა ოსმალეთის ულტიმატუმზე, რომლის ვადაც 2 საათის შემდეგ გადის (გავიდა 30 მაისს საღამოს 8 ს. და 35 წ.) სამხედრო მინისტრმა უპასუხა: მთავრობამ გადასწყვიტა ოსმალთა ჯარს, თუ უკანასკნელმა შეტევა დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ, მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს და რესპუბლიკა დაიცვას.

სამხედრო მინისტრი და საელჩო 1 საათს კიდევ მუსაიფობდნენ სხვა და სხვა საკითხებზე.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარესთან.

გუშინ 31 მაისს შუადღის 1 ს. გერმანიის სამხედრო მისიის წარმომადგენლებმა გრაფ შულენბურგის მეთაურობით ინახულეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძე. ნ. ს. ჩხეიძემ მადლობა განუცხადა საელჩოს და იმედი გამოსთქვა, რომ გერმანია დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას და მის დამოუკიდებლობას. საელჩოს წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მათი ჩამოსვლის და გენ. ფონ-ლოსსოვის და საგარეო მინისტრის აკ. ჩხენკელის ბერლინში წასვლის მიზანი სწორედ ეს არის. შემდეგ ნ. ს. ჩხეიძემ საელჩოს მიმართა და უთხრა, რომ ქართველები ჩვეულებრივად ადვილად არ იძლევიან სიტყვას. ხოლო, თუ მისცეს, მას პატიოსნურად ასრულებენო. საელჩოს წარმომადგენლებმა უპასუხეს რომ ასეთივე ის პრინციპები, რომლებსაც იცავენ გერმანელები. ბოლოს ნ. ს. ჩხეიძემ ხაზი გაუსვა საქართველოს და გერმანიის საერთო ინტერესებს და იმედი გამოსთქვა, რომ ხშირად შეხვდებიან გერმანიის საელჩოს წარმომადგენლებს. უკანასკნელებმა ისევე იმედი გამოსთქვეს. აუდიენცია ამით დამთავრდა.

მთავრობაში

30 მაისის კრებაზე ამიერკ. და რუსეთის ყველა დაწესებულების ლიკვიდაციის საკითხის შესახებ გადაწყდა შედგენილი იქმნას საგანგებო საგამომძიებლო კომისია საქართველოს მთავრობისა და სომეხთა და მაჰმადიანთა ერ. საბჭოების წარმომადგენლების მონაწილეობით კომისიაში 9 კაცი შევა მთავრობის მხრივ დანიშნულია წარმომადგენლებად: გოგიჩაიშვილი, არსენიძე და პოლკ. ასათიანი. სპეციალურ საკითხების განსახილველად საერთო კომისიას მცირე კომისია შეუძლიან. სომეხთა და მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოებს ეთხოვოს ეხლავე დანიშნონ თავისი წარმომადგენლები. პირველ რიგში განხილულ იქნება სამხედრო დაწესებულებათა ლიკვიდაციის საკითხი. დაადგინეს ეთხოვოს ყველა სამინისტროს შეადგინონ შტატების შემცირების პროექტი.

მაჰმადიანთა ერ. საბჭომ დანიშნა ფინანსთა სამინისტროში—ნარიმან ბეკოვი, სურსათის—რუსტამბეკოვი, განათლების—გ. შახტახტელი, მზრუნველობის გერამოვი, იუსტიციის მაქოელი, სამხედრო—გენ. ხალილოვი, მიწად-მოქმედების და შრომის—შეიხულ-ისლამოვი, ვაჭრობის—ა. ბ. რუსტამბეკოვი, შინაგან საქმეთა—ინჟ. ვექილოვი.

ფოსტის ავტომობილებით ზიდვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობას მოხსენება წარუდგინა ავტომობილებით ფოსტის გადაზიდვის შესახებ ამ პროექტით ცხენებით ფოსტის ზიდვა შესწყდება. სამინისტროს აზრადა აქვს შეადგინოს მუშათა საავტომობილო რაზმები.

სომეხთა ეროვნ. საბჭომ დანიშნა შინაგან საქმეთა, შრომის და სურსათის სამინისტროში—ერზინკიანი, ფინანსთა სამინისტროში გ. არუთინოვი, მიწადმოქმედების სამინისტროში ა. თათევოსიანი, სურსათის სააკიანი, მზრუნველობის ძამოევი, გზათა გულოვი, განათლების ტიგრანიანი, ვაჭრობის ბერბერიანი.

სომხეთის გარშემო

სომხების ეროვნული საბჭო.

ტფილისი 30 მაისი. „ანდოხსანი". სომხების ეროვნული საბჭო აცხადებს: „რადგან ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაირღვა და საქართველომ და ადერბეიჯანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ამის გამო სულ სხვა გვარი მდგომარეობა შეიქმნა, სომხების ეროვნული საბჭო აცხადებს თავის თავს უზენაეს და ერთად-ერთ მთავრობად სომხების ოლქებისა.

სომხების ეროვნულმა საბჭომ განსაკუთრებული მოსაზრებით გადადვა რამდენიმე დღით სომხის ეროვნული მთავრობის შედგენა და დროებით სომხების ეროვნული საბჭო თავის თავზე იღებს მთავრობის ფუნქციებს, რათა მართოს სომხური ოლქების პოლიტიკური და ადმინისტრატიული ცხოვრება".

არარატის რესპუბლიკა

ტფილისი. 30 მაისი. „ანდოხსანი". სომხებისა და მუსულმანთა ეროვნულ საბჭოების შეთანხმებით სომხების დამოუკიდებელ არარატის რესპუბლიკაში შევა: ყაზახისა და ბორჩალოს მაზრების მთა-გორიანი ადგილები, გუმბრის მაზრის დასავლეთი ნაწილი, მთელი ახალ-ბაიაზეთის მაზრა, ერევნის მაზრის ნახევარი და ეჩმიაძინის მესამედი ნაწილი ქალაქ ეჩმიაძინით. საკითხი იმის შესახებ, რომ არარატის რესპუბლიკის ტერიტორიას შეუერთდეს შუშის და შარურო-დარალეგზის მაზრები და განჯის მაზრის ნაწილი ჯერ-ჯერობით გადაუჭრელი რჩება. ის გადაწყდება ან სტამბოლში ან საყოველთაო სამშვიდობო კონფერენციაზე.

სომხების მთავრობა

ტფილისი. 30 მაისი. „ანდოხსანი". სომხების ეროვნულმა საბჭომ ა. ი. ხატისოვს მიანდო არარატის რესპუბლიკის მთავრობის შედგენა. ა. ხატისოვის დაბრუნებამდე არავითარი ნაბიჯი არ იქნება გადადგმული ამისათვის.

სამშვიდობო დელეგაცია

ტფილისი. 30 მაისი. „ანდოხსანი". ბათომიდან დაბრუნდა სამშვიდობო დელეგაცია, როგორც ამიერკავკასიის, ისე სომხების ეროვნულ საბჭოსი. სომხების ეროვნულმა საბჭომ მოისმინა თავისი დელეგატების მოხსენება და მიიღო—რა მხედველობაში შექმნილი მდგომარეობა, გაგზავნა სომხის ერის სახელით სამი პირისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელსაც ფართო უფლებები მიეცა: ახალი მოლაპარაკების საშუალებით მას ევალება დაუყონებლივ დაასრულოს ზავის საქმე. ამ მოლაპარაკების დასრულების მოლოდინში, სომხების ეროვნული საბჭო მოუწოდებს მცხოვრებლებს, როგორც დაკავებულ ისე საფრთხეში მყოფ ოლქებისა; შეაჩერონ ლტოლვა და არ დასტოვონ თავისი ადგილები, რადგან როგორიც არ უნდა იყვეს ამ ადგილებში ცხოვრების პირობები, მცხოვრებთა წასვლა გაცილებით უფრო დამღუპველ და განმანადგურებელ შედეგებს მოუტანს სომხის ერის ვიდრე ადგილებში დარჩენა მძიმე პირობებში.

ომის დეპეშები

ბერლინი, 30 მაისი. სამხედრო ცნობა. ენსეს ჩრდილოეთით გაცხარებულ ბრძოლაში კრესი-ო-მონდთან ჩვენ დავიპყარით ჟივინი და კიუფფა. ბრანდენბურგის ჯარმა სუასონი აიღო, ველონის სამხრეთით ჩვენი დივიზიების მარდი შეტევის წყალობით გავარღვიეთ ფრანგების მიერ აღდგენილი ფრონტი. მედგარი წინააღმდეგობის შემდეგ მტერი გავდევნეთ ვილლე-მონტუარის, ფერ-ენ-ტარდენუას, კულონის, ბრუისა და ბრონსკურტის ხაზს იქით. რეიმსის ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ფორტები დამარცხდნენ. დავიპყარით ლანვეილისა და შეტხენის ჩრდილო ნაწილი, ტყვეების რიცხვი 35,000-მდე აღწევს. დიდია ნადავლი: არტილერია და საომარი მასალები. ხელში ჩავიგდეთ ყოველივე კალიბრის ზარბაზნები, მათ რიცხვში რკ. გზის ზარბაზნები დიდ კალიბრისა. ჩვენი ჯარის სწრაფმა წინსვლამ ხელი შეუშალა მტერს გაეტანა დაპყრობილ ადგილებიდან იქ დაგროვილი უამრავი საომარი მასალა. სუასონში, პრესლესა და ფისმეში ჩვენ ხელში გადმოვიდა საომარი მასალების მდიდარი საწყობები და სალაზარეთო მატარებლები სასანიტარო საგნებით. ის ადგილები, სადაც საჰაერო აპარატები ჩერდებოდა, ჩვენ დავიპყარით და ხელში ჩავიგდეთ მანქანები და საჰაეროპლანო მასალა. გალვიცისა და ჰერცოგ ალბრეხტი- ლაშქართა ფრონტზე დრო-გამოშვებით ბრძოლა ცხოველდება.

ჩვენმა მფრინავებმა უკანასკნელ დღეებში მტრის 38 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. ობერ-ლეიტენანტ ბერნხოლდმა 28-ჯერ გაიმარჯვა საჰაერო ბრძოლაში. ლეიტენანტმა როტტმა დიკმიულედან ტერპის სამხრეთ ნაწილამდე ფრენის დროს მტრის 5 საჰაერო ბალონი ჩამოაგდო. მათ ცეცხლი მოედვა და ძირს დაეშვა.

ვენა, 30 მაისი. საომარი ცნობა. ტონალეს რაიონში ბრძოლა გრძელდება. ადომელის რაიონში მტრის არტილერიამ მოქმედება გააცხოველა. მტრის რამდენიმე იერიში ჩვენს პოზიციებზე პოზენაგლეგერის სამხრეთით მოვიგერიეთ. მტრის მზვერავთა რაზმების მოქმედება პიავეს იქით, სანდონის ჩრდილოეთით, უნაყოფოდ ჩატარდა.

ბერლინი, 30 მაისი. საღამოს ცნობა. ფერ-ენ-ტარდენუას სამხრეთით ჩვენ ბრძოლით მარნს მივუახლოვდით.

პარიზი, 30 მაისი. ოფიციალური საომარი ცნობა. ფრანგების ჯარმა, რომელიც სუასონის აღმოსავლეთ გასავალთანაა დაგროვილი, ხელი შეუშალა გერმანელების გამარჯვებას. სუასონის სამხრეთით ფრანგები მაგრად არიან თავის პოზიციებზე კრაზის ჩრდილო სანაპიროზე. ცენტრში არა ნაკლებ ძლიერი იყო ბრძოლა გერმანელებმა დაიკავეს ფერ-ენ-ტარდენუა და ვეზილი და განაგრძობენ ბრძოლას ვილ-ენ-ტარდენუასთან. მარჯვენა ფრთით ფრანგები თავის ხაზებს მტკიცედ იცავენ, ისევე, როგორც რეიმსის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

სახალხო კომისარების მოწოდება

მოსკოვი. 30 მაისი. № 515. ყველას. რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ, სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო კომისარების საბჭოსაგან. მუშებო, გლეხებო და პატიოსანო მუშაკნო, მთელ რუსეთს მოქალაქენო! მეტად მძიმე და აუტანელი დღეები დადგა. მოქანცული ქვეყნის ქალაქებში და მრავალ გუბერნიაში მშრომელი ხალხი მათი ბედის შიშმა აიტანა. ხალხის მტრები სარგებლობენ ამ მძიმე მდგომარეობით, რომელშიაც მათ ქვეყანას ჩააგდეს. თავისი გამცემლობითი მიზნების განსახორციელებლად ისინი სთესენ შუღლსა და ღრევას, ჰედავენ ბორკილებს და სცდილობენ ხელიდან გამოგლიჯონ ძალა-უფლება მუშებსა და გლეხებს ყოფილი გენერლებმა, მემამულეებმა და ბანკირებმა თავი მოსოჭყვეს: მათ იმედი აქვთ, რომ სასოწარკვეთილი ხალხი ქვეყნის ძალაუფლებას მათ მისცემს; მათ ჰსურთ დაიბრუნონ მიწები, ბანკები, ფაბრიკები და ჩინები და აღადგინონ მდიდრების თვითმპყრობელობა. ყველა კონტრრევოლიუციონური ძალა გასკეცებული ენერგიით მუშაობს იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი რღვევა შეიტანონ სურსათის საქმეში, ტრანსპორტსა და წარმოებაში და სცდილობენ წითელ რაზმში აჯანყების მოწყობას. „კორნილოვცები", კადეტები, მემარჯვენე ს.-რევ., თეთრი რაზმელები, „სამოტაჟნიკები"—ყველა შეერთდა ერთს კავშირში უცხო ქვეყნების აგენტებთან ერთად: მათი ბრძოლის საშუალებაა—ცილისწამება, პროვოკაცია და მისყიდვა. სარატოვში მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინად ჩავაქრეთ აჯანყება, რომლითაც მემარჯვენე ს.-რევ., ყოფილი ოფიცრები და მათი წყალობით მოზრამული ხულიგნური ბანდები სცდილობდნენ საბჭოთა მთავრობის დამარცხებას. ურალზე დუტოვის ბრბოები მძვინვარებენ: დონზე აჯანყების დროშა ააფრიალა ყოფილმა გენერალმა კრასნოვმა რომელიც ოქტომბერში დატყვევებული იყო, როდესაც კორნილოვთან ერთად პეტროგრადის წინააღმდეგ მიდიოდა; ხოლო შემდეგ ის განათავისუფლეს. კრასნოვს სწადია ჩამოაშოროს დონი და ყუბანი რუსეთს (დასასრული არ მიგვიღია).

ახალციხის ფრონტი

მოკლულნი და დაჭრილნი

ბორჯომი. 31 მაისი. საგანგებო კორესპონდენტი გვატყობინებს:

„მოკლულნი არიან: პორუჩიკი ალ. მელუა, პრაპ. მაკარი შელეგია; პარტიზანები: იოსებ ნიჟარაძე, პავლე ლომსაძე და სამსონ ცხადაძე. დაჭრილნი არიან: პრაპორშჩიკი დიმიტრი გულისაშვილი, რომელიც ბრძოლის ველზე დარჩა, პარტიზანები: კანდელაკიშვილი, გაფრინდაშვილი, კანდელაკი, ვეჩიდინი ლეონიდე, ლეჟავა, ზაქარიძე. მინდიაშვილი, სუჯანაძე, არისტო ქუმსიძე, ოქროპირიძე, კერკეჟიანი, ტყეშელაშვილი. პრაპორშჩიკი კობახიძე და პრაპორშჩიკი ნიკოლოზ გაფრინდაშვილი, პორუჩიკი სირაძე; ავად არის გაბუნაური, რომელიც მოკლული ეგონათ კომპანიძესთან ერთად; ის ცოცხალი დაბრუნდა. ეს არის სრული სია".

ახალი ამბავი

◆ **დღეს 1 ივნისს, დილის 12 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნული საბჭოს მორიგი სხდომა პრეზიდიუმისა და სხვა და სხვა კომისიების ასარჩევად და სხვა საკითხების განსახილველად.**

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრებს სიმ. მდივანს, ალექს. წერეთელს და შ. ნუცუბიძეს—სოც. ფედერ. ფრაქცია სთხოვს, დაუყონებლივ ჩამოვიდნენ ტფილისში.**

◆ კვირას, 2 ივნისს დილის ათ საათზე კობიის ქუჩაზე № 9, საბეითლო სამმართველოში დანიშნულია ქართულ ენის მცოდნე ბეითალთა და ფერშალთა კერძო თათბირი სხვა და სხვა საამდროვო კითხვებზე. ამხანაგებს ვთხოვ დაესწრონ.

◆ განათლების სექციის საბავშვო ლიტერატურის კომისიის კრება გაიმართება ნაკადულის რედაქციაში საღამოს 5 საათზე 1 ივნისს შაბათს. კომისიის წევრებს ვთხოვთ უეჭველად დაესწრონ კრებას.

◆ **ეროვნული კონცერტი.** ოთხშაბათს 10 ივნისს, ქართულ სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილის ლოტბარობით მართავს პირველ ქართულ ეროვნულ კონცერტს, ეროვნულ ნაწარმოებთაგან ჩვენს კომპოზიტორების: დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ნ. სულხანიშვილის, კ. ფოცხვერაშვილის, ა. ყარაშვილის, ზ. ფალიაშვილის და ი. ჯაბადარის. კონცერტში მონაწილეობას იღებენ ოპერის მომღერალი ი. პ. სარაჯიშვილი და ქ-ნი ო. კალანდაძე და ბ-ნი ვ. ლორთქიფანიძე. კონცერტის გამგეც და- ნიშნულია სამხედრო კავშირის მიერ

[illegible]

◆ **მატარებლის დამსხვრევა.** 30 მაისიდან ოსმალოებმა დაიწყეს თავისი ჯარის გადაყვანა სარაყამიშ-ყარსიდან ჯულფაში. 24 მაისს გუმბრის დეპოს მემანქანემ ვინოგრადოვმა განუცხადა თავის ამხანაგებს მატარებელს არ წავიყვანო და თუ ამას მაიძულებენ, მატარებელს დავამსხვრევო. ასეც მოხდა: გუმბრიდან ულუხანლუკენ 5 ვერსზე ტექნიკური პირობების გამო, მატარებელი უნდა მიდიოდეს 5 ვერსის სიჩქარით საათში. ვინოგრადოვმა კი ალბად ისე სწრაფად წაიყვანა მატარებელი რომ ორთქლმავალი და ვაგონები ოსმალოებით დატვირთული ლიანდაგს ასცდა და დაიმსხვრა. ამ მატარებელს მეორე მატარებელი მოჰყვებოდა. ისიც დაიმსხვრა.

◆ **ბერძენი ტყვეები.** ბათომიდან ჩამოვიდა პირველი წყება ოსმალოს ტყვეებისა მეორეთ ბერძნებისა (ბათომის აღების შემდეგ) ოსმალოს მთავრობამ წინადადება მისცა ქალაქთა და მის მიდამოებში მცხოვრებ ბერძნებს, ვისაც არ სურს ოსმალეთის ქვეშევრდომობა წავიდეს თავის სამშობლოში. ბათომიდან წამოსვლისას ოსმალეთის მთავრობამ ყველაფერი დახმარება აღმოუჩინა მათ.

◆ **შრომის სამინისტრო** სთხოვს ფინანსთა მინისტრს აპრილისა, მაისისა და ივნისისთვის გაუხსნას 121100 მანეთის სესხი.

იმავე სამინისტრომ სარევიზიო კომისიას წინადადება მისცა მოხსენება წაიკითხოს კომისიის მოქმედების შესახებ.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო პოდპ. რ. ველიკო წესიერების დარღვევისათვის. 1 ქართ. ბრიგადის პრაპ. ვ. წერეთელი დივიზიის უფროსის მოკვლისათვის. ჯ.-ქ. პ. ვაკაშვილი ხაზინის საქონლის მოპარვისათვის. ჯ. ქ. კ როტენბახი მკვლელობისათვის. ტფილისის გარაჟის გამგენი: კ. ბელუზენკო და ვ. ტურკინი ხაზინის ავტომობილის გაყიდვის განზრახვისათვის. მოქ. ს. კაბანოვი ქუჩაში სროლისათვის.

◆ **ქურდობა** ღამით 30 მაისს, მიხეილის ქუჩაზე № 102 სახლში, საკოვის ბინიდან 36 ათასი მან. საქონელი მოიპარეს.

◆ **საავიაციო კურსები.** ავიატორი ქებურია ქუთაისში აარსებს საავიაციო კურსებს.

◆ **გაძარცვა.** ღამით 30 მაისს შეიარაღებულ ჯარისკაცმა გაძარცვეს რარინი, რომელსაც 800 მ. წაართვეს მუშტაიდის კარებთან.

◆ **მილიციელებმა** გუშინ 31 მაისს შეიპყრეს ქალაქის სასურსათო კომიტეტის მოლარე, რომელსაც უპოვეს 17 ათასი მანეთი.

◆ **უცხოელების მამული.** მიწადმოქმედების მინისტრის განმარტებით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შემდეგ საიმპერიო კანონებს რუსეთთან მეომარ სახელმწიფოთა ქვეშევრდომების მამულის ლიკვიდაციის შესახებ ძალა აღარა აქვთ.

№ 1 ციხის კომიტეტმა წარმოადგინა მოთხოვნილებანი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

◆ **ტფილისის მილიციის უფროსის** დადგენილებით შეიპყრეს: ექიმი ა. ა. ხეცკი, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი პ. ს, ალიხანოვი, ბოლშევიკი პ. თარხანიშვილი და კაროევი.

◆ **რუსულმა ეროვნულმა საბჭომ** 29 მაისს შემდეგი დეპეშა მიიღო მუროვანიდან (ტფილ. მაზრა): „ავტორის უფროსი პოდპოლკ. კოკოევი ოფიცრები დაატუსაღეს მათ ბინებ ყარაული დაუყენეს. მთელი ბატ დაბეჭდეს. გთხოვთ პროტესტი ხალით საქართველოს მთა ეცადოთ განთავისუფლ რებულნი". ხელს აწ უფროსი და ადიუ საბჭოს თავმჯდო რესპუბლიკის მთ ტუსაღებულნი გაანთავისუფლ დამნაშავენი დასაჯონ. აგრეთვე მედივიზიონე მოითხოვა, რომ ოფ კორპუსის იარაღის აყრის დროს ძალ დატანებას არ ჰქონდეს ადგილი.

◆ **გორის მუშ. და ჯარ.-კ. დე** საბჭომ დაადგინა: 1) მიიღოს ყოვე გვარი ზომები თავდაცვის საქმის თანადროთ გასატარებლად; 2) შედგე ნოს საგანგებო თავდაცვის შტაბი დ ტატორულ უფლებებით; 3) თავდ ვის შტაბში არჩეულ იქმნენ ვ. ჭ ცეიძე, მ. კობერიძე, გ. ვარდოსა ცი, ი. გაბუნია და კ. მგელაძე; 4) გ ში და მის მაზრაში საალყო წეს

გამოცხადდეს და 5) რევოლუციონურ ტრიბუნალს სამხედრო საველე სასამართლოს უფლებები მიენიჭოს.

◆ **ბორჯომიდან** სამხედრო მინისტრს გიორგაძეს 31 მაისს დეპეშით ატყობინებენ: „გაზეთებში მოთავსებულია ცნობები, ვითომდა ახალქალაქის მაზრა ოსმალეთის ჯარმა დაიჭირა. გაუწყებთ, რომ მთელ მაზრაში ჯერ არსად არის მტერი და ჩვენ ჯარს უჭირავს 77 წლის საზღვრები. ეს ყალბი ცნობა, ახალქალაქის მაზრის ოსმალებისგან დაჭერის შესახებ, ნამდვილად გამოწვეულია შიშიანობით, რომელიც ახალქალაქის სომეხ მცხოვრებლებში გაძლიერდა. ჯავახეთი ჩვენს რაზმს საროკინდა-გოგაშენის ხაზზე არ დაუტოვებია თავის პოზიციები და მცხოვრებლები თავიანთ ადგილზე დაბრუნდა. ეხლა ახალქალაქში და მაზრაში სიმშვიდეა. ახალქალაქი ჩვენს ხელშია". ხელს აწერს ოუხაძე.

◆ **მიმინების კონცერტში**, რომელიც გაიმართება სახელმწიფო თეატრში კვირას 2 ივნისს დილის 12 საათზე **გ. ფოცხვერაშვილის** ხელმძღვანელობით მონაწილეობას მიიღებს ორასზე მეტი საუკეთესო დამკვრელი და მომღერალი. მარტო ტფილისის ორკესტრეთა საპროფესიო კავშირმა ოთხმოცი არტისტი გამოგზავნა. საერთო ანსამბლში ჩაერევა სახელმწიფო თეატრის მთელი ორკესტრი და მომღერალთა გუნდი, სამხედრო კავშირის ქალვაჟთა ხორო, მომღერალ-დამკვრელთა კავშირის საუკეთესო ძალები. სოლისტები და სხვანი. კონცერტის შემოსავლის 50% ოთიდან დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ გადაეცემა გურიის თავდაცვის კომიტეტს.

◆ **საგუბერნიო სახაზინო კომი[illegible]ტის** გამძარცველთა აღმოსაჩენად და [illegible]ლი ამ ავაზაკური საქმის გამოსაკვლევად ენერგიულად დაიწყო ძიებათა [illegible]ს შეუდგა „უგოლოვნი" მილიციის [illegible]ოსი აარ. გაგიგეთ. როგორც გა[illegible]ცხადებული ადგილის [illegible] და [illegible]იეროთი სიმზერიც არის, ამ ავაზა[illegible]ს საქმეში ცხუ შიგნიდან უნდა [illegible]ის გადებული, 30 მაისს ზერელე გა[illegible]კვლევით ავაზაკებისაგან წაღებულია 100,000 მანეთამდე. ამ საქმის გამო უკვე დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი. დაპატიმრებულთა შორის, გაზრიკეს კასირი კომიტეტისა ვაშალომიძე, რომელსაც ტახისამოსში ჩატენილი [illegible] ჩხლა 17000 მან. კითხვაზე თუ რის ნიშნავს ეს აბჩავი განაცხადა რომ გამძარცველებს ეს ფული გადაუცია და შეიძინა ცალკე ტახისამოსში უკვე საგანგებო გამოძიებული დაინიშნა, რომელიც 30 მაისიდანვე შეუდგა ფიცხელ გამოძიებას.

◆ **ფონ-ლოსოვი.** ბათომიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე ფონ-ლოსოვი სტამბოლში ჩავიდა.

◆ **დღეს**, 1 ივნისს საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში დანიშნულია მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს წევრთა კრება.

◆ **კვირას 2 ივნისს**, შუადღის პირველ საათზე თავისუფლების (ერევნის) მოედანზე სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარქი კირიონი ტფილელ მიტროპოლიტის ლეონიდის, ეპისკოპოს დავითის და ქალაქის სამღვდელოების თანამსახურებით გადაიხდის სამადლობელ პარაკლისს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის [illegible]ცხადე[illegible] გამო. სამღვდელმთავრო წირვები შესრულდება სიონის ტაძარში და ქვაშვეთის ეკლესიაში ლიტანია გამოვა ხსენებული ტაძრებიდან დაახლოებით 12 ნ. ხევ. ს. ქვაშვეთიდან უწმიდესის კათალიკოზ-პატრიარქის თავს მღვდელმთავრობით, ხოლო სიონიდან თბილელ მიტროპოლიტისა.

◆ **მკვლელობა.** ლანჩხუთიდან 28 მაისის თარიღით იტყობინებიან: საღამოს 9 საათზე საველე ტელეგრაფის ოთახში ფანჯრიდან რევოლვერი ესროლეს და მოკლეს ქართ. ესროლელთა დივიზიის შტაბის უფროსი კოსტინი. მკვლელი შეიპყრეს.

◆ **მრეწ. კავშირის კრება.** კვირას 2 ივნისს, დილის 10 საათზე მუშათა კლუბის ბინაზე (მიხეილის პრ. № 65) დანიშნულია პროფესიულ კავშირის პროლეტ. „იგლი"-ს საზოგადო კრება (მკერავების, მექუდეების, და სხვ.) განსახილველია მრავალი საყურადღებო საკითხი.

◆ **იარაღის ტარების შესახებ.** გარნიზონის უფროსი გენ. ახმეტელაშვილი აცხადებს, რომ იარაღის ტარებისთვის ყველა იმას, ვინც ჯარში არ ირიცხება უნდა ჰქონდეს ნებართვა მ. და ჯ.-კ. დეპ. ს. აღმასრულებელი კომიტეტისაგან. საზოგადო დაწესებულებებში იარაღის ტარება სასტიკად აკრძალულია.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

რაზმელების საყურადღებოდ. ს.-ფ. სამხედრო საბჭო წინადადებას აძლევს ტფილისში მცხოვრებ რაზმელებსა და აგრეთვე პარტიის წევრთ, რომელთაც იარაღის ტარების ნებართვა ჩვენი პარტიულ დაწესებულებებიდან აქვთ მიღებული აუცილებლად გამოცხადდენ დღეს, 1 ივნისს, საღამოს 6 საათამდე პარტიის ბიუროში (ძველი სემინარიის შენობა) ახალი მოწმობის მისაღებად, ვინაიდან ძველი მოწმობები დღეიდან გაუქმებულად ითვლება. ვინც მოწმობას არ გამოსცვლის, მას იარაღი ჩამოერთმევა და პასუხისგებაშიც მისცემენ.

კვირას, 2 ივნისს გორში პარტიის დარბაზში საღამოს 9 საათზე ამხ. თედო ღლონტი წაიკითხავს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე. კრებაზე დასწრება შეუძლია წევრთ და თანამგრძნობთ.

—

ყველა სოციალისტ ფედერალისტი ვალდებულია საწევრო გადასახადის წიგნი იქონიოს, როგორც მისი პარტიული ვინაობის დამამტკიცებელი საბუთი. საწევრო გადასახადი არა ნაკლებ ათი მაურისა თვეში, ვისაც სამას მანეთამდი შემოსავალი აქვს, ვალდებულია ერთი პროცენტი მაინც გადაიხადოს საწევროდ თვეში. პარტიის ნივთიერი საშუალებათა გაძლიერება ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ხალხვილ წევრისთვის, გადასახადის შეტანა ყოველ დღე შეიძლება პარტიის ბიუროში დეისურაშვილთან.

არ მომკვდარა, გაიღვიძა!

ას ჩვიდმეტი წელიწადია რაც სოფლიო ასპარეზზე ჩაქრა მზე მთლიან საქართველოს მანათობელი. ბევრს ეგონა „მოკვდა საქართველო". მხოლოდ რჩეულმა შვილმა საქართველოსამ იმედიანად გვაუწყა: „არ მოკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს". აღსრულდა დიდებულ მამულიშვილის წინასწარმეტყველება!

26 მაისი უკვდავი იქნება ქართველი ერის ისტორიაში. ამ დღეს, ხუთ საათზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ხელი მოაწერა მთლიან საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

ამავე დღეს, აღფრთოვანებულ ხალხის თანდასწრებით, სასახლის, აწ უკვე საქართველოს ეროვნულ საბჭოს სადგომის აივნიდან საჯაროდ წაკითხულ იქნა ხსენებული ისტორიული აქტი და მომენტის შესაფერისი ზეიმით პირველად აფრიალდა განთავისუფლებულ ახალ საქართველოს ეროვნული დროშა. მაშ გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის განთავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს დემოკრატიას!

ვიქტორ ახათიანი.

ქართველს საქართველოში

ბევრი საუკუნეების იმპერიალისტმა გაილესა კბილები ჩვენზე, განსაკუთრებით კი ოსმალეთს გაეხსნა მადა ჩვენი სამშობლოს ჩაყლაპვისა. სახელის ხსენებაც კი სურთ მოუსპონ ჩვენს ტურფა საქართველოს. საკვირველი ქართველი ერი ისე არ დაეცემა, იგ არ დაივიწყებს ჩვენი სამშობლო, რომ მისი ჩაყლაპვა ხანა მაინც არავის შეეძლოს. ბევრი მტრის გადამტანი მრავალ საუკუნეების გამძლეობაში ჩვენი ტანჯული საქართველო, ბევრს გადაიტანს კიდევ. ის არსებობდა და იარსებებს კიდევ, სანამ ერთი მუჭა ქართველობას პირში სული უდგია და მთლად არ ჩაქრება მამულის და სამშობლოს სიყვარული.

ჩვენ არა ვართ მტრულად, მიმინოს რომ ჩაუვარდეს კლანჭებში და მერე განძრევას ვეღარ ბედავს. პირიქით ჩვენ მაშინ ვიცით ვკვდება, ბრძოლა შეუპოვარი, როცა ვინმე უსამართლოთ შეუბრალებლად ვაიქცევა. და ფეხ-ქვეშ გასთელავს ჩვენს მოქალაქეობრივ უფლებებს. ჩვენი ერი ვერ იტანს სხვისგან დამცირებით მოპყრობას. ის არ დაიდგებს მარგალიტ თავისუფლებას ხელიდან და თუ ვინმე ძალით მოინდომებს გამოგლეჯას, ცოცხალი არავის დანებდება. ეს არის ნამდვილი შენებული ქართველ[illegible]

მეთვრამეტე გაზაფხულზე

ჩემი სამშობლოს.

დიდხანს იცურა სამშობლომ
ცრუ ხალხთა ოკეანეში
და ბოლოს დარჩა ნაპირზე
მწირ-მარგალიტად ნანეში.
არ გაუწირეს მას ძმობა,
ყველა ბოროტად ჩამოდგა,
ვინც ძმობას ეფიცებოდა
სუყველა ცრუდ გამოდგა.
რა მარტო არის დღეს იგი,
ვით მარგალიტის მარცვალი,
შორიდან დაჰღერებია
ბოროტი მაშის ნაცვალი...
მაგრამ იცოცხლე, სამშობლოვ,
წამების ჯვრით და ბედითა,
რომ მტარვალთაგან ჯვარცმული
კვლავ აღსდგებოდე მკვდრეთითა!

1918—26 მაისი. ი. მჭედლიშვილი.

მოვალეობა, რომლებმაც უნდა იხსნან მონობის უღლისაგან ჩვენი ტურფა საქართველო. მართალია ჩვენშიდაც აღმოჩნდნენ უპასუხისმგებლო პირები, სამშობლოს უსიყვარულონი, მის ინტერესების დაცვას მოკლებულნი. მაგრამ დღეს მძიმე და რთულ დროს ყველამ უნდა შეიგნოს გაითვალისწინოს, რომ ის ქართველია და მას აქვს საკუთარი სახე. ამას უნდა დაცვა, შენარჩუნება. დღეს დადგა დრო, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. დღეს კიდევ მეტი მტერი გამოგვიჩნდება. კიდევ უფრო მოინდომებენ ჩვენს დამონებას, მოსპობას. მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ დიდიდან პატარამდის თოფ ქვეშ დავდგეთ, კვლავინდებურად. შეუპოვრად ვიბრძოლოთ შეიძლება გავსწყდეთ, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ, რომ ისტორიამ არ დაგვგმოს, რომ უზრუნველვყოთ საქართველოს მომავალი.

სამწუხაროდ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები არ არიან ჩამოყალიბებული დემოკრატიულად. ხანდახან მტრულ რიგებს გაყვებიან ხოლმე, მოგვიწოდებს უარს ყოფენ. არიან ისეთი მოღალატენი, რომლებიც სამხედრო ბეგარის უარს აძლევენ. ამბობენ მიტომ, რომ ბოლშევიკები ვართ და ჩვენთვის სამშობლო საჭირო არ არისო. ეს არის ღალატი სამშობლოსი, ღალატი ქართველი ხალხის წინაშე.

გაუმარჯოს ნამდვილ მებრძოლთა და მოუკიდებელ საქართველოში.

მუშა ეგ. ნაცარაძე.

სომხური პრესა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ

„ჰორიზონი" (№ 100) სწერს:

„საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა ეს გაბედული ნაბიჯია ქართველი ერის მხრით, მაგრამ არა იძულებითი, გარეშე ძალდატანების გამო შესრულებული აქტი, არამედ ერის საერთო განწყობილების და მისი მეთაური ორგანოების და სარევოლუციო პარტიების თავისუფალი სურვილის გამოხატვაა.

ასე ესმის მათ მათი ერის ნამდვილი ინტერესების დაცვა და დამოუკიდებლობა მიაჩნიათ ეხლანდელი დროის აუცილებელ მოთხოვნილებად.

ამიტომ ჩვენ არა თუ არ შეგვიძლია გადავეღობოთ ამ ნაბიჯს, პირიქით სულით და გულით წრფელად მივესალმებით ჩვენი მეზობლების დამოუკიდებლობას და ვუსურვებთ რომ სრულებით განახორციელონ მათ თავისი იმედები.

მოხარულნი ვართ აგრეთვე იმის გამოც რომ საქართველოს დამოუკიდებლობით არა მარტო ქართველი ერის ინტერესები იქნება დაცული, არამედ ეს დამოუკიდებლობა ჩვენ მიგვაჩნია საერთო დემოკრატიულ საქმედ და თავდებად საზოგადოდ რევოლუციისა და თავისუფლების დაცვის საქმეში. რაღა თქმა უნდა, გვახარებს ის გარემოება, რომ ამით უზრუნველყოფილი იქნება აგრეთვე ყოფა-ცხოვრება და თავისუფლება სომხის ერის ერთი ნაწილისა, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფალ მოქალაქეებისა".

შემდეგ გაზეთი ეჭვს გამოსთქვამს იმის შესახებ შეინარჩუნებს თუ არა საქართველო თავისუფლებას, თუ ნელნელა, მისდა უნებურად, დაჰკარგავს მას იმპერიალისტური სახელმწიფოების ზეგავლენით. და შემდეგ ისევ განაგრძობს:

„ამიერიდან ქართველი ერის მეთაურებმა ფხიზლად და ხერხიანად უნდა წარმართონ თავიანთი პოლიტიკა, რომ არ უღალატონ იმ საერთო სარევოლუციო დემოკრატიულ იდეალებს, რომლის გულისათვის ისინი დღეს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხადებენ.

ამ მისწრაფებით დიდი შრომა და ჯაფა უნდა გასწიოს ქართველმა დემოკრატიამ და ამ მძიმესა და ძნელ საქმეში ჩვენ მათ სრულ გამარჯვებას ვუსურვებთ. არ შეგვიძლია მხოლოდ დავუმალოთ სხვა ჩვენი გონიობა. ჩვენთვის, სომხებისათვის, მეტად ძნელია, რომ საერთო რუსეთის დემოკრატიასთან კავშირის შეწყვეტის შემდეგ დღეს ფაქტიურად კავშირს ვსწყვეტთ ჩვენს მეზობელ დემოკრატიასთანაც და ჩვენი ერი იძულებულია დაეყრდნოს მხოლოდ თავის ძალას და მარტოდ მარტომ იზრუნოს თავის ბედ-იღბალზე.

მხოლოდ ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, უფრო კარგია, ვიდრე ილუზია ერთობისა, რომელიც ნამდვილად არც ყოფილა და არც არის. ამას იქით მაინც სომხის ერს უფრო თავისუფლად შეუძლია თავისი შინაური და საგარეო პოლიტიკა აწარმოოს და ერთობისა, თანასწორობისა და მეზობლების გულისათვის მეტად ძლიერ შეეცდება [illegible] გზაზე, რომელსაც შეუძლია ჩვენი ერი დაღუპვის კარამდე მიიყვანოს. დღეის შემდეგ ნურას უკარგავად თუ ჩვენი ესა თუ ის სანიჭერი არ იქნება გადადგმული [illegible] ამიერკავკასიის ერთობის უზრუნველსაყოფად; ნურას უკარგავად თუ [illegible] დავუთმობთ მეზობელ ერებთან კეთილად მეზობლური ცხოვრებისა და მათთან ერთად თავისუფალ განვითარების გულისათვის. ამას იქით ჩვენი ერი შეეცდება უფრო შეურიგებლად და საკუთარის გზებით დაიცვას თავისი უფლებანი, აწარმოოს თავისი საკუთარი პოლიტიკა და ადგილს დაუთმობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალადობით, იარაღის ძალით იძულებული იქნება დაუთმოს ან და ბოლომდე იბრძოლოს და ბრძოლაში გაწყდეს სახელოვანი".

—

„მშაკი" (№ 99) სწერს: რომ 22 აპრილს გამოცხადებულ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას საფუძვლად ოსმალეთთან ზავის შეკვრის იმედი ჰქონდა დადებული, მაგრამ ჩვენ მაშინვე (№ 78-ში) აღვნიშნეთ, რომ რუსეთიდან ჩამოშორება მეტად ტრაგიკული იქნება ამიერკავკასიისა და განსაკუთრებით სომხებისათვისო: შემდეგ განაგრძობს.

„რუსეთიდან ჩამოშორება სასურველი იყო თურქებისა და ქართველებისთვის და ისინი სიხარულითაც შეხვდნენ ამ ამბავს, თუმცა ეს აქტი, საქმე თუ საერთო საკაცობრიო გრძნობის თვალით შევხედავთ, დიდი უმადურობა იყო, რადგანაც ამიერკავკასია, მაშასადამე საქართველოც, აყვავდა და გაიფურჩქნა მხოლოდ რუსეთის ბატონობის წყალობით თორემ, ოსმალეთისა და სპარსეთის ბატონობის ქვეშ რომ დარჩენილიყო, როგორც წინად, ის დღეს იმავე ყოფა-ცხოვრებაში იქნებოდა, როგორშიაც არის თვითონ სპარსეთი და ოსმალეთი. ასეთი აქტისადმი მისალმება სომხების მხრით განსაკუთრებით ხალაც უმსგავსი უმადურობა იყო და ამას კარგადაც ჰგრძნობდენ სეიმში ვითომდა სომხის ერის წარმომადგენელი დაშნაკცაკანნები, რომელთაც თავის განცხადებაში ყველას აგრძნობინებს, რომ ქართველებისა და თურქების ნაბიჯის მოწონება მათის მხრით მხოლოდ იძულებითია.

სამწუხაროდ, უმადურობისა და უმწეობის მიერ ნაშობმა ამ აქტმა, ამ დიდმა მსხვერპლმა ვერ გამოიღო, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი ნაყოფი, ნაყოფი, რომელსაც გვპირდებოდნენ, ე. ი. ვერ იხსნა ამიერკავკასია ვერც დანგრევისაგან ვერც ოსმალთ დაპყრობისაგან და ვერც ზავი მოგვიტანა. პირიქით, ქვეყანა განსაკუთრებით სომხის ერი, ჩავარდა კატასტროფაში, და საშინელ ჯოჯოხეთისებურ ანარქიასა და უბედურებაში. არა მარტო სომხებს, არამედ ქართველებსაც მოადგა კარზე საფრთხე რადგანაც ოსმალეთმა ზავი არ შეგვიკრა და განაგრძო შემოსევა და დაპყრობა არა მარტო სომხური მაზრებისა, არამედ აგრეთვე საქართველოს კუთხეებისა. ამას გარდა, ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა, რომელიც ნაკარნახევი იყო თვითონ ოსმალეთის მიერ, ოფიციალურად არ იქმნა ცნობილი არც გერმანიისა და არც ოსმალეთის მიერ.

ამიერკავკ. დამოუკიდებლობა ემყარებოდა სამ ეროვნებისა თურქების, ქართველებისა და სომხების თანხმობას და იმ პირობებს, რომელიც უნდა შეექმნათ ამ სამ ავტონომ ქვეყანას კონფედერაციის დაარსებით მაგრამ ამ სამ ერში ერთმა, სომხებმა, მალე დაჰკარგა ის კუთხები, რომელთაც უნდა შეედგინათ სომხური კანტონი და თვით სომხის ერს კარზე მოადგა სრულიად ამოწყვეტის საფრთხე. დაღუპვის საფრთხე მიმართა საქართველოსა და ქართველებისთვისაც.

და აი ქართველებმა იფიქრეს თავს დავიხსნით განსაცდელისაგან, თუ ახალ აქტს გამოვაცხადებთო ე. ი. თუ მოვსპობთ ერთი თვის წინად დაარსებულ დამოუკიდებელ ამიერკავკასიის რესპუბლიკას და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადავაქცევთ საქართველოსაო.

ეს დიადი ისტორიული აქტი მათ შეასრულეს გასულ კვირას, მაისის 13/26-ს.

და მაშასადამე ჩვენ ახალი მოვლენის ფაქტის წინაშე ვსდგევართ. უკვე აღარ არსებობს ამიერკავკასიის რესპუბლიკა, არსებობს მხოლოდ დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო. შეიძლება ხვალ დამოუკიდებელი და თავისუფალი იქნება ამა და ვასალი გახდეს სათათრეთი ანუ ადარბაიჯანი, რომელშიაც, უნდა ვიფიქროთ, შევა სომხური ქვეყნები.

მაშასადამე, ამიერკავკასიის სეიმი დაშლილია, უკვე აღარ არსებობს ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა და ჩვენ დღეს ვიმყოფებით საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქ ტფილისში, როგორც ქვეშევრდომი მოქალაქეები.

იცნობს ოსმალეთი საქართველოს დამოუკიდებლობას, თუ არა, და გადარჩება თუ არა საქართველო ოსმალეთის დაპყრობისაგან ამის შესახებ გადაჭრით ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება თუ მართალია, რომ საქართველო, დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად გერმანიის პროტექტორატს იღებს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ, ოსმალეთი ვერ გაბედავს, მას ხელი ახლოს.

დამოუკიდებლობის გამოცხადებით საქართველო საბოლოოდ ჰშორდება რუსეთს, რომელიც ამას იქით მას თავის ახალ მტრად ჩასთვლის.

მოუტანს მართლა ეს ახალი აქტი ბედნიერებას, ნამდვილ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ქართველ ერსა და საქართველოს (რომელსაც ოსმალეთმა უკვე ორი კუთხე ჩამოჰგლიჯა) თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ჩვენ შეგვიძლია გულაბდილად ვისურვოთ და ვუსურვოთ რომ ეს ბედნიერება და თავისუფლება სინამდვილედ გადაიქცეს.

როგორი უნდა შევხვდეთ ჩვენ სომხები ახალ ისტორიულ აქტს?

პრინციპიალურად, როგორც ერს, რომელიც აგრეთვე ისწრაფოდა და ისწრაფვის თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისაკენ (რომელიც ვაი რომ დღეის შემდეგ ოცნება დაა!), სომხებს მხოლოდ სიხარული გვმართებს, შეგვიძლია ჩვენი მეზობლების, ქართველების იერ გადადგმულ ნაბიჯს, მივესალმოთ და მივულოცოთ მათ ყოველგვარი სიკეთე და აყვავება მომავალში, მით უმეტეს რომ საქართველოს საზღვრებში ჩვენ დაახლოებით ნახევარი მილიონი სომხობა გვყავს. ისინი უნდა გახდენ საქართველოს მოქალაქეები და უეჭველია, რომ ქართველები სომხებს უარს არ ეტყვიან სამოქალაქო და პოლიტიკურ სწორუფლებიანობაში. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ. უკეთუ ქართველებს დამოუკიდებლობა აზრად ჰქონდათ (ახლა ფაქტებმა დაამტკიცა, რომ საქართველოს სახელმწიფოდ გადაქცევის პროექტი შედგენილი იყო წარსული წლის დეკემბერში და მოწონებული იყო გერმანიის მიერ), რისთვის და გვაიძულეს ჩვენ, სომხები, რომ მოღალატურ აქტი შეგვესრულებ[illegible] და რად მოგვაშორეთ და [illegible] ჩვენ ორ [illegible]

რასაკვირველია, ამ მწარე ჭეშმარიტების თქმასთან ერთად ჩვენ უნდა ისიც ვთქვათ, რომ არავითარი უფლება არა გვაქვს ქართველებს სულგრძელობა მოვსთხოვოთ, რომ მათ თავის გადარჩენაზე იფიქრონ. რაკი გარემოება ისე მოეწყო, რომ ორი ერი უნდა დაიღუპოს და ერთ მათგანს საშუალება აქვს თავი იხსნას, არავის არ შეუძლია მოითხოვოს რომ იგი თავის თავს ნუ იხსნის უპირველესად ყოვლისა. და კაცმა რომ თქვას, ქართველების რა ბრალია, თუ ჩვენმა, სომხის ერის წარმომადგენლებმა თვითონ გადაიგდეს თავისი თავი დაღუპვის მორევში და რუსეთს გამოეყვნენ, თუმცა კი უნებლიედ.

მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ მივესალმებით საქართველოს დამოუკიდებლობას და ვუსურვებთ მას [illegible]ებას, ბედნიერებას და აყვავებას.

თავისუფალ საქართველოს...

„კავკასიის მაღალ ქედზედ
მიჯაჭული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი—ყვავ ყორანი...
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთაგმირი,
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი."

აღსრულდა ნეტარ ხსენებულ აკაკის სიტყვები!

მიჯაჭულმა ამირანმა ბორკილები მიამსხვრია და აღმართა დროშა თავისუფალ საქართველოსა!..

ამ დროშაზედ გამოსახულია განთავისუფლებული ამირანი, სადაც თავის სხეულის მძოწყვლელს ორთავიან არწივს ხელფეხში გაყრილ დალეწილ ბორკილებით მუხლზე გლეჯს.

და შენ, ჩემო ტურფავ საქართველოვ, გიძღვნი სალამს! იმის დროშის წინაშე მუხლს ვიდრეკ და ფიცსა ვსდებ, მტლად დავედები და დარაჯად ვეყოლები თავისუფალ საქართველოს!..

[illegible], ჩემი გულის ლტოლვანი, გაუმჟღავნებელ ფიქრები, იმედები, რომელიც საქართველოს განთავისუფლების გარშემო ტრიალებდა, ამისრულდა!

ვიხილე საქართველოს განთავისუფლება!

თავისუფალი საქართველო!..

და ეს საიდუმლო ხმა გულს ჩაიწვდა..
ჩემის ყურით ვისმინე,
ჩემის თვალით ვიხილე
და ჩემის მთელი არსებით ვიგრძენი.

თავისუფალ საქართველოს ხელი შევახე!..

ქართველ ერს თავისუფალს ვხედავ, რომელსაც უპყრია ამირანის დროშა...

საქართველოს ერის ყურში მესმის; „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!"

დუშიკო.

მუშათა, ჯ.-კ. და გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

სასახლის თეთრ დარბაზში ოთხშაბათს, 29 მაისს, საღამოთი ნოე **ჟორდანიას** თავმჯდომარეობით შესდგა მორიგი სხდომა მ. ჯ. ა. ს. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა. სხდომას დაესწრო აღმასრულებელი კომიტეტის თითქმის მთელი შემადგენლობა და მრავალნი გარეშენიც. კომიტეტმა პირველად მოისმინა მოხსენება მომენტის შესახებ კ. წერეთლისა, რომელმაც თავისებური მჭევრობით დაუხატა მსმენელთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ცხოვრების თანდათანობითი სვლელობა და აგრეთვე ის მიზეზები, რამაც აუცილებელ საჭიროებად გახადა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება და აღიარება. მომხსენებელმა დაახლოვებით იგივე გაიმეორა, რაც მან ამიერკავკასიის სეიმის დაშლის დღეს სთქვა.

ბ-ნმა წერეთელმა თავისი მოხდენილი მოხსენება დაასრულა მოწოდებით—მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა საბჭოებმა მხარი დაუჭირონ დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომ მან განამტკიცოს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება და შეინარჩუნოს რევოლუციის მონაპოვ-

ვარი დემოკრატიის და საერთოდ მთელი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ და ასადორძინებლად. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ვალ. ჯუღელმა და თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ. კომიტეტმა წინააღმდეგ ერთის ხმისა და 3 თავშეკავებულისა მიიღო შესაფერისი დადგენილება—მხარი დაუჭირონ საქართველოს მთავრობას საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის განმტკიცების საქმეში.

მეორე მომხსენებლად გამოვიდა ბ-ნი ვალ. ჯუღელი, რომელიც ტფილისის მილიციის უფროსის კონიაშვილთან ერთად წასულიყო სოხუმისაკენ იქ ბოლშევიკების თარეშობა, ბატონობის სალიკვიდაციოდ. ბ. ჯუღელს ძლიერის ტაშითა და ვაშით შეეგება მთელი დარბაზი. ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად ყოფილი სიის დეპუტატი თუმანოვ-მერხალიოვ-მერიოზოვის ამხანაგი თარხანოვი დარბაზიდან გადის.

ვ. ჯუღელი. სამწუხაროა ჩვენთვის, დაიწყო ვ. ჯუღელმა, მოგითხროთ ამბავი სოხუმის ბოლშევიკების დამარცხებისა, რადგანაც მაშინ, როდესაც ჩვენ ჩვენს ძალებს უნდა ვახმარებდეთ გარეშე მტერთან ბრძოლას, იძულებული ვხდებით ძალები დავახურდაოთ, სისხლი ვღვაროთ ისევ ჩვენი ძმებისა და ამხანაგების. მაგრამ უნდა მოვქცეულიყავით ასე, რადგანაც თავაშვებულობა უპასუხისმგებლო ელემენტებისა მიდის იქამდე, რომ მათ თავიანთი გესლით მოშხამეს ჩვენში ატმოსფერა და ლამის აქაც დაამხონ რევოლიუციით მონაპოვარი დემოკრატიის—ხალხის თავისუფლება. ადრევე გვქონდა გადაწყვეტილი აღგვედგინა სარევოლიუციო წესი სოხუმის მხარეში, მაგრამ ვერ წავედით მინამდე, ვიდრე არ გამოირკვა, რომ ნატანებში შემოსულ გარეშე მტრის წინააღმდეგ საკმაო ძალები მოგვეპოვება. დაგვიანებაც უკვე აღარ შეიძლებოდა, რადგანაც დანამდვილებით ცნობები მოგვივიდა, რომ ოსმალეთი დესანტის გადასასხმელად ემზადებოდა სოხუმისაკენ. კიდევ ერთი კვირით რომ დაგვეგვიანებინა, მერე საქმე ისე გართულდებოდა, რომ მისი გამოსწორება შეუძლებელი იქნებოდა. გამოირკვა რომ სოხუმის ბნელ ძალებს თავიანთი წარმომადგენელნიც კი გაეგზავნა ბათომში და ებატიჟებოდნენ, ოსმალოები გასულიყვნენ აბხაზეთში და იქაურობას დაპატრონებოდნენ, რა თქმა უნდა თარხანოვებს არ მოეწონებოდათ ჩვენი აბხაზეთისკენ საომარი იერიში. თარხანოვი რომ რევოლიუციის ჭეშმარიტად ჯვრის მატარებელი იყოს, მას რომ სცოდნოდა რა ხდებოდა სოხუმში ბოლშევიკებისაგან, იგი ტფ. ქალაქის საბჭოში არ გადმოანთხევდა გესლიან სიტყვებს ჩვენს საწინააღმდეგოდ, მაგრამ ვიცნობთ რანიც არიან ისინი—და მათ მეტიც არ მოეთხოვებათ.

ჩვენი გადაწყვეტილება იყო სოხუმში ბოლშევიკების თარეშის ლიკვიდაციის დროს ერთი წვეთი სისხლიც არ დაქცეულიყო და ყოველი ღონისძიება გვქონდა მიღებული, რომ მშვიდობიანად გაგვეთავებინა საქმე, მაგრამ იმაში, რაც ხდება, ბრალი მიუძღვით ბოლშევიკებს. ბევრს უმზგავსო ღონისძიებას მიმართეს ბოლშევიკებმა, რომ აბხაზეთში თავიანთი ავტორიტეტი არ შერყეოდათ და ჩვენი სახელი გაეტეხნათ და გავერწბილებინეთ ხალხის თვალში. ჯერ ხმა გაავრცელეს, რომ წითელი გვარდია თავადაზნაურთა მიერ არის მოსყიდული.

როდესაც ხალხი დავაჯერეთ, რომ ჩვენ ხალხის, დემოკრატიის, შვილები ვართ, მივდივართ მათი მოძალადეთა ბრჭყალებისაგან გასანთავისუფლებლად, შემდეგ ხმა გაავრცელეს, რომ ჩვენ ოსმალეთის ჯარის ავანგარდი ვიყავით. ჩვენს უკან მოდიოდა ოსმალეთის ჯარი, რომელიც მიდიოდა აბხაზეთში დასაპყრობად და მაშასადამე ხალხის ასაოხრებლად და სომხების ყელების დასაჭრელად. ამ უკანასკნელმა ხრიკმა პირველ ხანებში გასჭრა კიდეც და მთელი ის 30,000 სომხობა, რომელნიც, როგორც სათუთუნე ადგილების მოიჯარადრენი, კარგა ხანია შესახლებულნი არიან ამ მხარეში, და ბევრნი სხვებიც, ბოლშევიკებს უერთდებოდნენ, რომ აეშორებინათ თავიდან საშინელი უბედურება. ჩვენს წინადადებაზე გაგვეცნობოდნენ ვინ ვიყავით, სომხებმა თავიანთი წარმომადგენლებიც კი გამოგვიგზავნეს ერთი ლეიტენანტის მეთაურობით. როცა ეს უკანასკნელი დარწმუნდა ჩვენს ვინაობაში, ნახეს, რომ ჩვენს გვარდიაში ბევრი სომეხი გვარდიელიც იყო, ბოლშევიკებს კიდევ უფრო შეერყათ ნიადაგი რაც ბოლშევიკები დარწმუნდნენ, რომ ხრიკებით ვერას გააწყობდნენ, შევთანხმდით წარმომადგენლობის არჩევაზე, რომ საერთო მოლაპარაკებით მშვიდობიანად მოგვეშორებია ისინი თავიდან.

ჩვენ იმედი მოგვეცა მშვიდობიანად საქმის გათავებისა. წარმოიდგინეთ ჩვენი გამწარება, როდესაც მათ, ნაცვლად წარმომადგენლების გამოგზავნისა, კოდორის დიდს ხიდთან მუხანათურად პირველთ ატეხეს საშინელი სროლა ზარბაზნებითა, ტყვიის მფრქვეველებითა და თოფებითა. საღამოს 5 საათი იქნებოდა. ჩვენ საშინელს გასაჭირში ჩავარდით ამ მოულოდნელობით. რადგანაც უკვე გვიან იყო, ჩვენ ცოტა უკან დავიწიეთ, პოზიციები გავიმაგრეთ და მოვემზადეთ მეორე დღისათვის საიერიშოდ. ჩვენი მოწინააღმდეგენი 3000 კაცამდე მეტი იქნებოდა მაშინ, როდესაც ჩვენ 500 კაცი თუ ვიქნებოდით. ძალების ასეთ ვითარებისა გამო ჩვენ გზის გასაკაფად პირველ რიგში ავახმაურეთ ჩვენი ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები. ერთი დღის საარტილერიო ბრძოლით დიდი ზიანი მივაყენეთ ამ აღვირაშვებულ ხალხს.

როდესაც არტილერიამ მოწინააღმდეგე დასძრა ადგილიდან, შემდეგ საერთოდ შეუტიეთ, გადავედით ხიდზე და ჩავიგდეთ ხელში იმდენი ტყვე, რამდენიც თითქმის ჩვენ ვიყავით. ჩვენი მტერი მოიხსნა პოზიციებიდან და თავგზა დაბნეული გაიქცა. გავსდიეთ მათ. ჩავიგდეთ ხელში 18 ზარბაზანი, 25 ტყვიის მფრქვეველი და მრავალი თოფი. ჩვენ დაგვიჭრეს ათი კაცი და ერთი აფხაზი მდ. კოდორში დაგვეხრჩო. ამ დამარცხების შემდეგ საბრალო ბოლშევიკები აღარ გვინახავს თვალით. მათ საჩქაროდ გაიარეს სოხუმი, გუდაუთი, სამოც ვერსზე მეტი მანძილი გაგრამდე ისე თავგზა აბნეულად, რომ მიუხედავად ჩვენი უკან დევნისა ვეღარ მივეწიეთ მათ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დიდი დახმარება გაგვიწია ზღვიდან ჩვენმა პატარა მუსრავმა გემებმა ამხ. ვ. ჯიბლაძისა და სხვ. მეთაურობით. მუსრავებმა დააპატიმრეს რამდენიმე შხუნა და ორი გემი, ასე, რომ ჩვენი ფლოტის „ფლოტი" ხუთჯერ უფრო გაძლიერდა ვიდრე იყო სოხუმის ბოლშევიკებისაგან გაწმენდამდე. გარდა ამისა ჩვენ დავაპატიმრეთ თურქების ორი შხუნა და დავაპატიმრეთ ორასიდან 300-მდე მათის ჯარის კაცებით შეიარაღებულნი. ირკვევა, რომ ეს ის ძალები იყო, რომელნიც ამზადებდნენ სოხუმისაკენ ოსმალეთის ჯარის დესანტს. ჩვენი მთავრობა ძლივს გაჭირვებით ახერხებს ხალხის გამოსაკვებ მასალის მოტანას ნოვოროსიისკიდან მაშინ, როდესაც ოსმალეთი დიდძალს სიმინდს იძენდა თურმე ჩვენს მისვლამდე აბხაზეთ სამურზაყანოში და ეზიდებოდა ბათომ-ტრაპიზონისაკენ. მაგალითად ჩვენ დაპატიმრებულ გემებზე ათასობით ფუთი სიმინდი აღმოჩნდა, რომელსაც თურქები მიეზიდებოდნენ. სოხუმში ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა ჩვენს გვარდიელებს. გავმართეთ შეერთებული კრება სარევოლიუციო ორგანიზაციებისა და ქალაქის მართველობისა. აღვადგინეთ დაშლილი ორგანიზაციები და განვმარტეთ საზოგადოდ მცხოვრებთ მიზანი ჩვენი მისვლისა და საჭიროება ერთობის სიმტკიცისა, რომ ხალხმა თავი შეინახოს შინაურ და გარეშე მტერთა აოხრება განადგურებისაგან. შემდეგ როდესაც ადგილობრივ აღდგენილ იქმნა საზოგადოებრივი წესრიგი გავემგზავრეთ გაგრისაკენ, გაიწმინდა მათგან ეს კუთხე. ბოლშევიკებმა დაიხიეს ტუაპსესაკენ. საშინელი ამბების გამგონენი ვართ, ამხანაგებო! დიდი შეწუხება, დიდი უბედურება მიყენებია ხალხისათვის საზიზღარ ძალებს კონტრ-რევოლიუციონერ ბოლშევიკებისაგან. ძნელია აღწერა იმ საშინელი სურათისა რაც ჩვენ იქ გვამცნეს. ბოლშევიკური ბრბო ისეთს საშინელს სიმხეცემდე მისულა, რომ არ ინდობს არავის, ვინც მათ ღმერთს არ იწამებს, ტუაფსე გაგრიდან მაგის ამბავიც კი გავიგეთ, რომ ისინი ხალხის ეკონომიურად გაძარცვა გაღატაკებასაც არ ჯერდებიან. ვისაც თვალში ამოიღებენ, ფეხზე ქვას მიაბმენ თურმე და ასე შეუბრალებლად ზღვაში აღრჩობენ. ბოლშევიკების მოღვაწეობას მთელს იმ კუთხეში უკიდურეს გამწვავებამდე მიუყვანიათ სხვა და სხვა ერთა დამოკიდებულება. განსაკუთრებით სომხები დამფრთხალან და ათი ათასობით უკვე აყრილან და ილტვიან ამ კუთხიდან. აბხაზეთში მართალია საჭირო იყო კიდევ ჯერ ჩვენი ყოფნა მაგრამ აქედან ზარდამცემი ამბები მოგვივიდა, ოსმალეთი გვიპირებს შემოსევას და ამიტომ იქ ნახევარი ძალებით ადგილობრივ შევქმენით ორგანიზაციები წესის დასაცველად და ჩვენ აქ გამოვეშურეთ რათა პასუხი გავცეთ კიდევ უფრო საშიშ მტერს—ოსმალეთის შემოსევას. მომხსენებელი მთელმა დარბაზმა მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა.

დასასრულ კომიტეტმა მოისმინა მოხსენება ქალაქ ტფილისისა და მის გარშემო ადგილების თავდაცვის გაძლიერების შესახებ. ცოტა ხანს თათბირის შემდეგ კომიტეტმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა თავდაცვის საბჭოს წინაშე: 1) გაიწეროს ხარჯი ქალაქის იმ შეძლებულ მცხოვრებლებზე, რომელნიც თავისი პირადი ძალით ჯერ ღებულობენ მონაწილეობას თავდაცვის საქმეში; 2) გამოცხადდეს იძულებითი მობილიზაცია ქალაქის ყველა იმ ძალებისა, რომელსაც იარაღის ტარება შეუძლიანთ და 3) გამოცხადდეს ყველასათვის სავალდებულოდ ვისაც პირადი ფიზიკური შრომით შეუძლიანთ თავდაცვის საქმეში მონაწილეობის მიღება, მზად იყვნენ მთავრობის პირველ დაძახებისათანავე. სხდომა კომიტეტისა ღამის 12 საათზე დასრულდა.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სენაკის განყოფილების ანგარიში 1 იანვარი 1918 წ.

შემოსავალი:

1.	წინა წლის ნაშთი	1057 მ. 64 კ.
2.	საწევრო	94 „ „
3.	შემოწირულება	40 „ „
4.	მთავრობის სესხი	9992 „ „
5.	სხვა და სხვა	20 „ „
6.	პეტროგრადის ქართულ საზოგადოებისაგან	300 „ „
7.	საღამოებისაგან	250 „ „
	სულ	11753 მ. 64 კ.

გასავალი:

1.	ომისაგან დაზარალებულთ	274 მ. 50 კ.
2.	სკოლებს	150 „ „
3.	საკანცელარიო	80 „ „
4.	რწმუნებულთ	50 „ „
5.	მომსახურეებს	45 „ „
6.	დახმარება სხვა და სხვა პირს	386 „ „
7.	ჯარის კაცთა ოჯახებს	120 „ „
8.	დამშეულთ და გარდამოხვეწილთ	9751 „ „
9.	კასაში ფულად	897 „ 14 „
	სულ	11753 მ. 64 კ.

გამგეობა.

მოწერილი ამბები

პანქისის ხეობა. 24 მაისს ს. ჯოყოლოში მოხდა საერთო ყრილობა, დაესწრნენ ოსები, ქისტები, თუშები და ფშაველების მრავალრიცხოვანი ხალხი. აგრეთვე დაესწრნენ მაღრან, ჩადმა, წოვის და მატნის წარმომადგენლები, როგორც მოეხსენებათ მკითხველთ აქაც თანდათან ფეხს იკიდებდა ანარქია. ამას წინათ ვიღაც ნაძირალებმა, თოფით მოკლეს ფისიროპოზაშვილი, გრიშა ქოჩაშვილი. რამაც გამოიწვია ოსებსა და ქისტებს შორის შურისძიება. რადგანაც ეჭვით ოსები ქისტებს აბრალებენ მათ დახოცვას. საბედნიეროდ ამ ყრილობაზე მოხდა შეკავშირება ოსების, ქისტების, თუშ-ფშაველებისა მიიღეს ერთმანეთში ფიცი დღეის შემდეგ არავითარი შურისძიება და მტრობა არ ექნებათ ერთმანეთში. აგრეთვე შეეკავშირდნენ მაღრან, ჩადმა, წოვის და მატნის საზოგადოებებ; შეკავშირება რომ არ მოხდარიყო მოსალოდნელი იყო ეროვნული განხეთქილება და შეჯახებები. ამ ჟამათ პანკისის ხეობაში სიწყნარეა, ხალხი დამშვიდდა. იმედია ბოლო მოეღება იმ ვაჟბატონებს, რომლებიც შეიარაღებულნი ილაშქრებდნენ შინაურ ძმებზე. ფიცის მიღების შემდეგ დაიდგა თოფების გრიალი და „ურა გაუმარჯოს ჩვენს ძმობას და ერთობას".

პანკისის მდივანი ლ. ნაციშვილი

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

პასუხის პასუხი ვ. ენუქიძეს, ნ. ხუცაშვილს და მ. მამულაშვილს

თქვენს განცხადებაში, რომელიც მოთავსებულია „სახ. საქ." №-243 ნომერში, მთხოვთ დავასახელო, ჩვენს შორის სადავო საქმეები, რომელიც მედიატორებმა უნდა გაარჩიონ, მე მგონი, ამის შეკითხვა სულ მეტია, ჯერ იმიტომ, რომ თქვენ ძალიან კარგად იცით ჩვენი სადავო კითხვები, და მერე ძალიან ნათლად და გარკვევით სწერია უწყებაში, რომელიც მე თქვენ გამოგიგზავნეთ ნოტარიუსის წესით, და რაკი გინდათ ეს საკითხები გაზეთის საშუალებითაც გაცნობოთ—ინებეთ. თქვენ იცით ჩვენი ვაჭრობის წარმოება სრულებით შეჩერებულია და როდის აღვადგენთ, დროსა და გარემოების გამო, არ ვიცით. ამის გამო ისედაც წარმოება მოგვიტანს ზარალს და ამ დროს, როცა წარმოება შეჩერებულია და ჩვენ ოთხსავე ამხანაგებს არაფერი შრომაც არა გვჭირია ვაჭრობის საქმის საწარმოებლად, ინიშნავთ ყველანი ჯამაგირებს თითო კაცი თვეში ორმოც თუმანს, რაც ერთის წლის განმავლობაში ბოლოს მოუღებს ჩვენს თანხას და გამოვზიდავთ ჩვენს თანხას ჯამაგირების სახით, და წარმოება სრულებით მოისპობა. ეს მე დიდ უსამართლოდ მიმაჩნია, რასაც თქვენც თითონვე გრძნობთ, მაგრამ აქ საქმე სხვაშია. თქვენ იმ იმედით გინდათ თანხის გაზიდვა ჯამაგირების სახით, რომ მე თქვენზედ თვითეულზედ მეტი პაიები მაქვს და იცით, რომ როცა თანაბარ პაიებს გავზიდავთ მაშინ დარჩება ჩემი საკუთარი მეტი პაიები და მერე იმას დაუწყებთ გაზიდვას, რაც სრულებით ჩემს საკუთრებას შეადგენს და თქვენ უფლება არა გაქვთ იმის ხელის ხლებისა. თუ იმას იტყვით, რომ მე მეტი პაიები მაქვს, მაშინ არავინ არ გიშლით თქვენც იქონიოთ იმდენი და რადგანაც ეხლა საქმე შეჩერებულია და თანხის მომატებას არ თხოულობს, მაშინ ნება მომეცით რაც მეტი პაიები მაქვს უკანვე წავიღო, მხოლოდ როგორც პირველში ისედაც მეორე შემთხვევაში, ესე იგი თქვენ მოუმატებთ პაიებს თუ მე დამიბრუნებთ უკან ჩემს მეტ პაიებს, უნდა პაიების ღირებულობა შეფასებული იყოს ამ დროის და გარემოების ფასების მიხედვით. იცოდეთ რომ საქმეს საზოგადო ხასიათი ექნება თუ კერძო, აქვს გარდა ფორმალურისა ზნეობრივი მხარეც და მოვალენი ვართ ზნეობრივადაც შევხედოთ საქმეს და მხოლოდ მაშინ გავიგებთ სიმართლეს. აი სწორედ ამისათვის გიწვევთ თქვენ სამედიატორო სასამართლოში, თქვენ კი ეს არ გსურთ და გაურბიხართ მედიატორულ სამართალს. არა მგონია სხვაც კიდევ იყოს ქვეყანაზე ისეთი დაწესებულება, სადაც ამხანაგებს შეეტანოთ საწარმოებელი თანხა და მიუხედავად იმისა, რომ დროებით წარმოება არა აქვთრა, მაინც ჯამაგირის სახით გამოზიდონ უკანვე თვე და თვე თავიანთი თანხა. ეს მხოლოდ მარტოკა თქვენში ყოფილა შესაძლებელი. თქვენ ამბობთ ჩვენი საქმე საზოგადო საქმე არ არის და მედიატორებიც საჭირონი არ არიანო, მაშინ თქვენის აზრით კერძო საქმე არა თხოულობს სიმართლეს და არც სჭირია მედიატორები. ესეც მარტო თქვენთვის ყოფილა შესაძლებელი. თუ ამ განცხადებამაც არ იმოქმედა თქვენზედ და გაზეთისავე საშუალებით არ დაასახელეთ თქვენის მხრით მედიატორები ჩვენი საქმის გასარჩევად სამი დღის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა, მაშინ მკითხველი საზოგადოებისთვის მიმინდვია თქვენ და თქვენს მოქმედებას შესაფერი სახელი უწოდოს.

572 ხ. ნანობაშვილი.

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებებიან ავადმყოფთ დილით 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა, № 7. 918

ექიმი
ი. ლ. [illegible]
იღებს [illegible] და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიის ქუჩ. № 41. ტელეფ. 11—09. 1032

ექიმი
დონხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—12½ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 (საიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38. 518

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
ყოფილი ორდინატორი ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ქ. [illegible]
ექიმი რევაზ ალექსანდრეს ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
თიქანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
[illegible]ძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ [illegible] მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 87, [illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი [illegible]შვილისა. ტელეფ. 6—77. 1080

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 13, 9 ბინა. 1002

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრიბოედოვის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87. ავადმყოფების მიღება ყოველ დილის 9 საათ. ნაშუადღევის [illegible] ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8 ქალების და ბავშვების მიღება 4 ღარიბები უფასოდ მიიღებიან [illegible] 10—12 ს.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—43. 1158

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ახლო სოფელში
მიმყავს ბავშვები საზაფხულოთ და მასთან ერთად ვამზადებ კიდეც სტუდენტი ქალი II კურსისა (საექ. ნაწ.) მისამართი: [illegible] ქუჩა № 38. ლონდორიძე. ნახვა შეიძლება 5—8 ს.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:
ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე; ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

სტამბა „სახალხო საქმე", ბარინის ქუჩა № 14